

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი :

ქ. წყალტუბო

2021 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის - სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25

საიდენტიფიკაციო კოდი: №221274546

ტელეფონის ნომერი:

საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, _____ „____“, წარმოდგენილი _____ სახით (შემდგომში - მომწოდებელი),

მისამართი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: № _____

ტელეფონის ნომერი: _____

საბანკო რეკვიზიტები: _____

ბანკის კოდი: _____

ანგარიშის ნომერი: _____

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ - „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ასრულებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი, ტექნიკური პირობები და კლასიფიკატორის კოდი

2.1. შესყიდვის ობიექტი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტისათვის საფოსტო კონვერტების (A4 ფორმატის - 150 ცალი, A5 ფორმატის - 850 ცალი, A6 ფორმატის კონვერტი-1220 ცალი) შესყიდვა.

2.2. კლასიფიკატორის კოდი: (CPV30199230);

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს _____ (თანხა სიტყვიერად) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

- 4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
- 4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მისი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 5.1. შემსყიდველი შესყიდვის ობიექტს მიიღებს ეტაპობრივად.
- 5.2. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
- 5.3. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი 2 სამუშაო დღის ვადაში.
- 5.4** შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის/მომსახურების მოცულობისა და წუნდების მიზეზ(ებ)ის მითითებით.
- 5.5. შესყიდვის ობიექტის მიღებას და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს ადმინისტრაციული სამსახური და შესყიდვების სამსახურისთვის განკუთვნილი კონვერტების შექმნის ნაწილში უზრუნველყოფს *წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური*, ხოლო სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურისთვის განკუთვნილი კონვერტების შექმნის ნაწილში - *წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური*.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

- 6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩის N25.
- 6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- 7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
- 7.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებისა და პირობების დაცვით.
- 7.5. მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად სეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველ შემთხვევაზე, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო, კონკრეტული შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.
- 9.2. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში;
- 9.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

- 10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
- 10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 10.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის სამი შემთხვევის შემდეგ, შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 10.4. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ურთიერთ შეთანხმებით.
- 10.5. შემსყიდველი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მიმწოდებელს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს-----.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
 მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.#25
 სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
 ხაზინის კოდი: TRESGE22
 ა/ა №GE24NB0330100200165022
 ს/კოდი: 221274546

მუნიციპალიტეტის მერი